საქართველოს მთავრობის

დადგენილება №436

2021 წლის 27 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2018, 010240030.10.003.020789) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) ანალიტიკის დეპარტამენტი.“.

2. 8^2 მუხლის „$თ^1$“, „$თ^2$“, „$თ^3$“, „$თ^4$“, „$თ^5$“ და „$თ^6$“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. 8^2 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^3 მუხლი:

„მუხლი 8^3. ანალიტიკის დეპარტამენტი

ანალიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და კომპეტენციაა:

ა) სამინისტროს სისტემაში ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება, რაც მოიცავს (და არ შემოიფარგლება) ეკონომიკური და ფინანსური, სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროებში შესაბამისი კვლევებისა და ანალიზის უზრუნველყოფას, რესურსებისა და პროცესების ეფექტიანობის ანალიზს;

ბ) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემთა მოპოვება/დამუშავება/ განზოგადება და სისტემატიზაციის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევებისა და რისკების შესწავლა, ანალიზი, განზოგადება და სათანადო დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

დ) საინფორმაციო სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებში მონაცემთა წარმოების ალგორითმის განსაზღვრა და მონაცემთა დამუშავება/სისტემატიზაცია;

ე) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ერთიანი სტრატეგიულ-პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) სამინისტროს სისტემის განვითარების მიზნით, სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) სამინისტროს საქმიანობის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**